

ტესტის სახელწოდება:

კრეატინინის ტესტი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

მოცემული ტესტი სისხლში ან შარდში კრეატინინის დონეს ადგენს. კრეატინინი კრეატინის დაშლის პროდუქტია, რომელიც კუნთებში გამომუშავდება. რაც უფრო დიდია ადამიანის კუნთების მასა, მით უფრო დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს კრეატინინს. კრეატინინი ორგანიზმიდან თირკმელებით გამოიყოფა. შესაბამისად, მისი კონცენტრაციის მატება ხშირად თირკმლის ფუნქციის დარღვევას უკავშირდება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

კრეატინინის ტესტი ინიშნება იმისათვის, რომ შემოწმდეს თირკმელები ნორმალურად ფუნქციონირებენ თუ არა. ეს ანალიზი კეთდება მაშინ, როდესაც ექვი აქვთ თირკმლის ფუნქციის მოშლაზე ან როდესაც პაციენტს უკვე აქვს დადგენილი თირკმლის დაავადება. თირკმელების ფუნქციონირების გამოსაკვლევად კრეატინინის ტესტთან ერთად ხშირად სხვა ანალიზებიც ინიშნება.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

ტესტისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება ან 24-საათიანი შარდის სინჯის შეგროვება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ანალიზისთვის სისხლის აღებამდე რამდენიმე საათით ადრე პაციენტს შესაძლოა საკვების მიღებისგან თავის შეკავება დასჭირდეს. ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ანალიზამდე აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ტესტისთვის მოსამზადებლად შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია:

კრეატინინის მაღალი დონე, ჩვეულებრივ, იმაზე მიუთითებს, რომ თირკმელების ნორმალური ფუნქციონირება დარღვეულია. ეს კი შეიძლება გამოწვეული იყოს თირკმლის რომელიმე დაავადებით ან სხვა პათოლოგიური მდგომარეობით. ტესტის შედეგების ინტერპრეტირება მკურნალი ექიმის მიერ უნდა მოხდეს.